



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრესელ-კოშუტი გალინა ალექსანდრეს ასული

გრესელ-კოშუტი გალინა ალექსანდრეს ასული (12. IX. 1909, ალექსანდროპოლი, ახლანდ. გიუმრი, სომხეთი, - 4. VIII. 2008, თბილისი), არქიტექტორი. საქართველო. დამს. არქიტექტორი (1967).

დაამთავრა საქართველო. საინჟინ.-სამშ. ინ-ტი (1933). მონაწილეობდა (არქიტექტორ-დამპროექტებლად) თბილისში „დინამოს“ სტადიონისა (1934-35) და მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის ფილიალის (1935-36) დაპროექტების ბოლო სტადიაზე. ძირითადად მუშაობდა „საქქალაქმშენსახპროექტი“ (1936-41; 1944-76) არქიტექტორად, პროექტის მთ. არქიტექტორად, არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელის მოადგილედ.

ძირითადი განხორციელებული პროექტები: საბავშვო ბაღი ოზურგეთში (1948), საცხოვრ. სახლები თბილისში, ახმეტაში, კაჭრეთში; მდ. ლიახვის სანაპირო გორში (1948), სასტუმრო მესტიაში (1953), ავტოვაგზალი თბილისში (სანაპიროზე, 1954), საქართველო. შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმი გაგრაში (1970, გ. ჯაფარიძესთან ერთად) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი
